

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს კანონის პროექტზე: ფსიქიატრიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ.

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განპირობებულია „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში იმ დებულებათა სრულყოფის აუცილებლობით, რომლებიც აწესრიგებენ პირის შეურაცხაობის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტასთან დაკავშირებულ საკითხებს, ასევე არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარებისას სასამართლოს განსჯადობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიღების მიზანია სრულყოფილად გაიწეროს „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების, კერძოდ კი, არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების გამოყენებასთან დაკავშირებით სასამართლოს განსჯადობასთან დაკავშირებული საკითხები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად ცვლილება ხორციელდება კანონის მე-18 მუხლის მე-7 ნაწილში, რომლის თანახმადაც იცვლება სასამართლო განსჯადობა. კერძოდ, კი ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია პაციენტის ადგილსამყოფელის მიხედვით მიმართავს სასამართლოს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პაციენტის სტაციონარში მოთავსების შესახებ.

ახლებური რედაქციით ყალიბდება კანონის 22-ე მუხლი, რომლის თანახმადაც თუ ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის დასკვნით მიზანშეუწონლად ჩაითვლება ფსიქიატრიული დახმარების გაგრძელება, შეწყვეტა ან/და აუცილებელია ფსიქიატრიული დახმარების სახის შეცვლა, სასამართლო უფლებამოსილი იქნება ზეპირი მოსმენის გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება პაციენტის მიმართ ფსიქიატრიული დახმარების შეწყვეტის, გაგრძელების ან ფსიქიატრიული დახმარების სახის შეცვლის შესახებ.

კანონპროექტში გაიწერა შეტყობინების ვალდებულება იმ შემთხვევაში თუ წინასწარი გამოძიებისას პირის შეურაცხაობის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის დროს ექიმ-ფსიქიატრთა კომისია მიზანშეუწონლად მიიჩნევს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების შეწყვეტას, იგი ვალდებული იქნება დასკვნის ასლი გაუგზავნოს პროკურორს.

კანონპროექტის ნოვაციად უნდა ჩაითვალოს 23¹ მუხლი, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი სასამართლო განსჯადობა არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების საკითხის განხილვისას. იმ შემთხვევაში თუ განსასჯელი დანაშაულის ჩადენის დროს შერაცხად მდგომარეობაში იყო, მაგრამ დანაშაულის ჩადენის შემდეგ შეურაცხი გახდა, სასამართლოს გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც განსაზღვრავს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდას შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში მის გამოჯანმრთელებამდე, რის შემდეგაც მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდა გრძელდება საერთო წესით. კანონპროექტის თანახმად, ამ შემთხვევაში საკითხს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გამოყენების, შეცვლის, გაგრძელების ან მკურნალობის შეწყვეტის თაობაზე განიხილავს სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი, თუ არ გასულა მსჯავრდებულის მიერ მოსახდელი სასჯელის ვადა, ხოლო მსჯავრდებულის მიერ მოსახდელი სასჯელის ვადის ამოწურვისას, საკითხს არანებაყოფლობითი

სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების შეცვლის, გაგრძელების ან მკურნალობის შეწყვეტის თაობაზე, პროექტის თანახმად, განიხილავს სასამართლო პაციენტის ადგილსამყოფელის მიხედვით ამასთან ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

იმ შემთხვევაში თუ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისას განსასჯელი შეურაცხ მღვთმარეობაში იყო, წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტის თანახმად სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლო წევრებს სისხლისსამართლებრივ დევნას და ამავე დადგენილებით (განჩინებით) წევრებს საკითხს „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენების თაობაზე, ამ შემთხვევაში არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაგრძელების ან მკურნალობის დასრულების საკითხს კი, განიხილავს სასამართლო პაციენტის ადგილსამყოფელის მიხედვით, ამასთან ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება.

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

პროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

პროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის თანახმად, სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

ფინანსურ შედეგებს არ გამოიწვევს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საერთო წესი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან. მასში აღინიშნება:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

არ არის წინააღმდეგობაში ევროკავშირის დირექტივებთან.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტების მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტები არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში; აღნიშნული პროექტის მომზადებაში ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში; აღნიშნული პროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;
იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.
იურიდიულ საკითხთა კომიტეტი